

არჩილ ქიქოძე

სამხრეთული
ს პ ი ლ ო



გაეროს სულაქაურის
გამომცემლობა

ჭოკებით შეიარაღებული პოლიციელები საქმიანად ფუსფუსებენ ორთაჭალჰესზე. მგონი, ზამთრის იმ მზიან და სუსხიან დილას მთელ ჩვენს ქალაქში მხოლოდ მათთვის გამოჩენილა რაღაც საქმე. მთელი ძალით აწვებიან, ცოტაც, და ადგილიდან დაძრავენ მიცვალებულს. მის ამოყვანას არ ცდილობენ, მხოლოდ მისი ადგილიდან დაძვრა და სხვა ადგილას გადაცურება უნდათ. ვდგავართ და ამ სანახაობას გაშტერებულები ვუცქერთ. ვერაფერს მივმხვდარვართ. უკვე მერე, გვიან, თაზო, როგორც ყოველთვის, ჩაეძიება და გაიგებს იმას, რისი მონმეებიც გავხდით. იმ დილით კი, პუტანკებისგან გამოსულები, დამუნჯებულები ვუცქერთ პოლიციელების ჩალიჩს. ერთი ღამით ვიყავით სადღაც ხარფუხის აღმართებში ჩაკარგულ სახლში და ახლა ჰესთან შედედებული წყლის მაცქერლები უკვე ყველაფერს მივცემდით, ოღონდ მეხსიერება წაგვერთვას და იქაურობა დაგვაგინყდეს... ჩვენ ორნი ამ უცხო ხარფუხის ვინროებში კითხვა-კითხვით ბორდელისთვის ყველაზე შეუსაბამო ეზოს და შუშაბანდიანი ბინის მპოვნელები, თაზოს ნაცნობის ნაცნობის სახელით ვაკაკუნებთ მინაზე. ბნელი ქუჩიდან შუქში მოხვედრილები, წამით ვჩერდებით სინათლისთვის თვალის შესაჩვევად. იქაურობა მართლა ერთ რამედ ღირს... სხვადასხვა კალიბრის ნატყვიარები ჭერსა და კედელზე და ოთახის კუთხეებიდან მომზირალი არავისმოყვარული

და უყმური თვალები... თითქოს ყველაზე ცუდ ქალაქში შეხეტებულნი, გზააბნეული ვესტერნის გამირები ვიყოთ. „მათ უცხოები არ უყვართ, არა?“ – დაილოცოს იმ ძველი კინოების დიალოგების მწერლები, – „მათ საერთოდ არავინ უყვართ...“ ცხადზე ცხადია, აქ ჩვენ სიყვარულს ვერ ვიპოვით. აივანზე არითმიულად ბლუის გენერატორი... სამტროდ არ მოვსულვართ, უიარაღოები ვართ ორივე... თაზო უხერხულად ჭმუჭნის ხელში თავის განუყრელ ქუდს და თბილი ქურთუკის ქვეშ ის თავისი ერთადერთი სვიტრი აცვია, რომელშიც მთელი ის ათწლეული გაატარა. სქლად ნაქსოვი ლურჯი ფორმადაკარგული სვიტრია, დიაგონალური წითელი ზოლით... თაზო ნათურას უსწორებს მოჭუტულ თვალებს, მერე იქაურობისთვის ყოვლად შეუსაბამოდ ილიმის, იმიტომ, რომ სხვანაირი ღიმილი, უბრალოდ, არ შეუძლია და ახლა დამხვდურებისთვის ხდება ერთი რამ ცხადი – ჩვენ არ გავისვრით, არც იარაღს ჩავთხრით არავის და ეს უკვე საინტერესოა. თქვენ, რა, ძმები ხართ? ზარმაც თვალებში მართლა უჩნდებათ სულ ოდნავი ინტერესი... არა, არა ვართ ძმები... ჩვენ მათ არც სექსის დროს ავარტყამთ და არც მერე, როცა საბოლოოდ გამოვფხიზლდებით და საკუთარ თავზე უფრო აგვერევა გული, ვიდრე მათზე. უფრო მეტიც, თაზოს დილითაც შეიძლება იმდენი ჯანი შერჩეს, რომ კიდევ გაუღიმოს რომელიმეს... მერე ნამოვალთ... უხმოდ ჩავივლით ქვაფენილიან თავდაღმართს, ულაპარაკოდ გადავჭრით უკაცურ და უმანქანო მოედანს, ხმაღამიშვლებულ და ყოჩაღ პეტრე ბაგრატიონს არც კი შევიმჩნევთ, ისევე, როგორც არასოდეს შეგვიმჩნევია ჩვენი ქალაქის არც ერთი ცხენოსანი დევგმირი, ორთაჭალჭისის ჯებირზე ავალთ და საზიაროდ

გავაბოლებთ ნუხანდელ ღამეს გადარჩენილ ერთადერთ სიგარეტს. ფილტრიანის საყიდლად ფული აღარ გვაქვს. უფილტროებს კი ვიშოვით, როგორც კი ჩვენ-ჩვენ უბნებში ნაცნობი ჯიხურები გაიღება, ოღონდ იქამდე შორია... მანამდე კიდეც ამ პერსპექტივიდან პირველად და უკანასკნელად გავხედავთ ჩვენს ქალაქს... თუმცა ეს მე გავხედავ უკანასკნელად, თორემ თაზო ალბათ მიბრუნდა, სხვანაირად ვერ შეიტყობდა ვერაფერს...

დამდგარი მტკვარი ბალახმოდებული ნაპირებით და თოლიებით... ნყალში ზურგზე მოტივტივე მიცვალებულს ისნის პოლიციის პუსტა-პუსტა თანამშრომლები გინებით და ფაციფუცით აწვებიან ჭოკებით და მის მარჯვნივ გადააჩოჩებას ცდილობენ. მიცვალებულს მტკვრის წყალივით უფერული ქურთუკი და ჩვენსავით ლურჯი ჯინსი აცვია. ვერ გაიგებ, მოკლეულია თუ თვითმკვლელი, მაგრამ პოლიციელებისთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. თაზო სულ ცოტა ხანში გაიგებს, რომ ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა, რომ ორთაჭალჰესი თბილისელი გვამების ნავსაყუდელია – მტკვარში საკუთარი სურვილით ჩამხტარიც და გადაგდებულიც, ყველა აქ იყრის თავს, ჰესის გადაღმა კი სამგორის რაიონის პოლიციელებსაც ბლომად აქვთ საგანგებოდ ამ საქმისთვის დამზადებული ასეთივე გრძელი ჯოხები და „ყველაფერი დასწრებაზეა ამ ქალაქში“ – ვინ უფრო ყოჩაღია და ვინ პირველი და საით გადააცურებს გვამს. სამგორშიც და ისანშიც ყოჩაღები და დაუზარლები მუშაობენ. უბრალოდ, ზამთრის ამ დილას ისანმა იმარჯვა და ახალი მკვლევლობის, შესაძლოა კი თვითმკვლევლობის, საქმე სამგორს დაენერება...

ჩემ გვერდით მდგარ თაზოს აურიალებს, შეიძლება ისიც იმავეს ფიქრობს. წყალი ალბათ ძალიან ცივია...

და უცებ წუხანდელი სიზმრის მოყოლას იწყებს... „შენ, რა, შეჩემა, იქ დაძინებაც მოასწარი?!“ ჰო, ჩაეძინა სულ ცოტა ხნით და დაესიზმრა, რომ უკიდევანო ზღვაში მიცურავს. გამოზომილი მოსმებით მიიწევს ჰორიზონტის ხაზისკენ. მანძილი დიდია და ძალებს ზოგავს. ჰორიზონტი თაზოსნაირი კარგი მოცურავისთვისაც კი მიუღწეველ რამედ ჩანს, მაგრამ მაინც ჯიუტად მიცურავს იქით. თვითონაც ვერ ხვდება, რისკენ მიილტვის ასე გამწარებული, მაგრამ გრძნობს, რომ იქ რალაც მნიშვნელოვანი უნდა დახვდეს ან გადახდეს და, აი, რალაც მართლა გამოჩნდა ერთფეროვან ჰორიზონტზე და თაზოც ამ რალაცისკენ იღებს გეზს. დაღლილი კია, მაგრამ საკუთარ ძალებში ეჭვი წამითაც არ ეპარება. იცის – მიაღწევს. მისი მიზანი კი სულ უფრო ახლოვდება და, შესაბამისად, ზომაში იზრდება. წარწერაა. თაზო ჯერ ვერ კითხულობს, მაგრამ ამკარად ხედავს, რომ ზღვიდან ამოჩრდილი რკინის ხარაჩოს მსგავს კონსტრუქციაზე დამაგრებული უზარმაზარი წარწერისკენ მიცურავს. აი, კომუნისტები რომ აღმართავდნენ ხოლმე სადღაც, ყოვლად შეუფერებელ ადგილას, წინ, ნათელი მომავლისკენო! ან კიდევ, Hollywood რო წერია ჰოლივუდის ბორცვზე. თაზო ხელის გაურკვეველი მოძრაობით მოხაზავს ჰაერში წარწერას, რომელსაც უკიდევანო ზღვაში დაულალავი ცურვით უახლოვდება და, აი, უკვე მისი წაკითხვაც შეუძლია. აქეთ მოილტვოდა თურმე... „მუტელი“ – განაჩენივით წერია მთელ ჰორიზონტზე და თაზო თვალსაჩინოებისთვის ისევ მიხატავს ჰაერში წარწერას, ოღონდ ამჯერად ქართული ანბანის ასოებს სრულიად კონკრეტულ ფორმებს ანიჭებს. ზღვა არსად გვიჩანს, მაგრამ თაზოს ხელით მოხაზული წარწერა ჩემმა

წარმოსახვამ სულ ადვილად წამოჭიმა შეგუბებული მტკვრის და მის გასწვრივ გაშენებული ჩვენი მშობლიური ქალაქის თავზე. სიგიჟეა, აბა, რა არის?! ერთმანეთს ვუცქერთ. ჩემს დატოვებულ სიგარეტს თაზო უკანასკნელი ნაფაზით ფილტრამდე წვავს, მერე მხრებს იჩეჩავს იმის ნიშნად, რომ მისი ბრალი არ არის, ასეთი სიზმარი რომ ნახა. ეტყობა, რომ სიცილს ძლივს იკავებს. სიგარეტს წკიპურტით ისვრის მტკვარში, წყალზე მოხვედრილი ნამწვის ჩაქრობის ხმაც კი გვესმის და უცებ ორივე ხარხარს ვინყებთ. ვერ ვჩერდებით. ისნის პოლიციელები, რომლებმაც თითქმის მიაცურეს უცნობი გვამი სამგორის რაიონამდე, წამით ეშვებიან თავიანთ საქმეს და ჩვენკენ იყურებიან. ცდილობენ, გაიგონ, რა გვაცინებს, მათ ფაციფუცში ხომ არ დავინახეთ რამე სასაცილო. არა, როგორ გეკადრებათ?! რასაც არ უნდა ნიშნავდეს თქვენი ამდილანდელი გარჯა, ეჭვი არაა, ქალაქისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ კეთდება ყველაფერი. ისევ ვხარხარებთ. იმათ კიდე თავისი გასჭირვებით, ჩვენთვის არ სცალიათ. ესევე ხარხარით ვტოვებთ ჰესს. მთელი გრძელი გზა სახლამდე და იმ ჯიხურებამდე, სადაც ნისიად მოგვცემენ უფილტროს, ფეხით გვაქვს გასავლელი...

თვალებს ვახელ. ჭიქაში ყინულები არ გამდნარა. სულ ცოტა ხნით ჩამძინებია. კომპიუტერის ეკრანზე იგივე სურათია – სადღაც ახლო აღმოსავლეთში წელი ეფერება კატას. საათზე ვიყურები – ცხრა ხდება, საცაა მოვა ჩემი სტუმარი, რომელსაც მრავალი წელია აქ ფეხი არ მოუდგამს. დედაჩემის დასაფლავების დღე არ ითვლება. ეგ ვალდებულება იყო – სოციალური და ადამიანური. გუშინ კი დამირეკა და თვითონ მთხოვა მოსვლა, უხერხულად, მიკიბ-მოკიბვით, პაუზებით, ლამის რომ

ვერ ამოღერდა სათქმელი და ბოლოს მაინც თქვა. ტელეფონის ყურმილშიც კი იგრძნობოდა იმის შიში, რომ არ დამეცინა, ხარხარი არ დამენყო. არც მიფიქრია. მივიღე ლამის როგორც პატივი...

მაგრამ დილის ცხრა საათი მეტისმეტია. რანდევეზე მოდის თუ ხაშის საჭმელად?!

კარზე ზარია. ცხრამდეც არ მოიცადა. გასაღებად მივდივარ. შუა გზამდე მისულს აზრად მომდის, რომ სტუმარმა ნელი არ უნდა ნახოს. კომპიუტერთან ვბრუნდები და ჯერ ფოტოს, მერე მთლიანად ალბომს ვხურავ. კარზე კიდევ ერთხელ, უფრო მოუთმენლად ირეკება ზარი. ჩემი შვილი ისევ არ ჩანს ჩატში. იქ ალბათ უკვე გვიანია და სძინავს. სოციალური ქსელიდან გამოვდივარ, კომპიუტერს ვუბრძანებ, დაიძინოს და ისევ კარისკენ მივემართები.

მის შეთვალეობასაც ვერ ვასწრებ. თაზო ზღურბლს კი არ აბიჯებს, ახტება, თითქოს აივნის ქვეშ წვიმას ემალებოდეს, ბინის სიღრმეში ისე მიიწევს, როგორც თავშესაფარში. მის გაბმულ ზარშიც არ ყოფილა თავხედობის ნატამალი – თავშესაფარს ითხოვდა. მისაღებ ოთახში მძიმედ ეხეთქება ჩემი დივანის გვერდით, სავარძელზე, და ისე ათვალეობებს წიგნის თაროებს, თითქოს პირველად იყოს ჩემთან.

– შენ, რა, გეძინა?

– ჩამთვლიმა... კომპიუტერს ვუყურებდი და ჩამთვლიმა, თორე ადრე ვარ გაღვიძებული...

სიგარეტს იღებს ჯიბიდან და აბოლებს. მოწვევის მანერა – ძველებური, ახალმონწევადაწყებული მოზარდის ხარბი ნაფაზებით, ერთი, ორი, სამი და, ჩაკლულია სიგარეტი...

მეც ვიღებ მაგიდიდან ჩემს სიგარეტს და ვაბოლებ. მოუთმენლად მიცქერს. არ მერგება ის სიგარეტი. სასწრაფოდ ვაქრობ და ფეხზე ვდგები.

– მოდი, თაზო, ერთი ნუთით...

საძინებელში შევდივართ. ჩამეძინა კომპიუტერთან და არ გადამიკვრია შენთვის თეთრეული... მოდი, მომეხმარე!

სანოლს ჩემს თეთრეულს ვაძრობ და თაზოს დახმარებით ახალს ვაკრავ. სასაცილოდ ვირჯებით. სულ არ უნდა ვფიქრობდე ამაზე, მაგრამ რასაც ჩვენ ვაკეთებთ, კინოა... ორმოც წელს გადაცილებული ორი მამაკაცი სრულიად სერიოზული გამომეტყველებით უხერხულად ვაკრავთ თეთრეულს ლოგინს, ბალიშებს ბალიშისპირებში ვტყენით. გინდა, თხელი საბანი ჩავდოთ საბნისპირში? არა მგონია, შეგცივდეთ, ცხელა უკვე... გამორიცხულია, თაზო ამ აბსურდული სცენის კინემატოგრაფიულობას ვერ გრძნობდეს. მეჩვენება, რომ თითქოს ახლა, ზუსტად ისე, როგორც ძველ დროში, ერთმანეთს შევხედავთ და მივხვდებით, რომ ერთსა და იმავეს ვფიქრობთ. მერე ბევრს ვიცინებთ... მაგრამ არა – თაზოს ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის. უხმოდ გავისარჯეთ. დავიღალეთ, მაგრამ, აჰა, მზადაა ლოგინი...

რალაც მახსენდება. მისაღებში გამოვდივარ. კარადას ვაღებ და სანახევროდ დაცლილი კონიაკის ბოთლი გამომაქვს.

– ჩემზე საკაიფოდ მოქმედებს ერთი ორმოცდაათი-ასი გრამი კონიაკი... იმ ამბავში... ხო აზრზე ხარ, რასაც გეუბნები? – საკუთარ თავზე ვბრაზდები, რადგან ვატყობ, რომ თაზოსთან ლაპარაკისას საგულდაგულოდ ვარჩევ სიტყვებს.

თაზო ბოთლს უცქერს და თითქოს ვერ ხედავს, მის-
მენს და თითქოს ვერ ხვდება, რას ველაპარაკები.

– ეგრე აპირებ, სპორტულებით ნასვლას?

თაზო არ არის თავხედი და უტიფარი და ვერც ვერა-
სოდეს გახდება ეგეთი. უბრალოდ, ძალიან ეჩქარება
ჩემი გასტუმრება, ძალიან ღელავს და, მგონი, ცოტა
ერცხვინება საკუთარი მდგომარეობა. მეღიმება.

– უცებ გამოვიცვლი და გავდივარ.

საძინებელში მართლა სწრაფად ვიცვლი, ჯარისკაცი-
ვით. რა დიდი ჩაცმა-დახურვა მე მჭირდება! სპორტულ
ტანისამოსს კარადაში ვინახავ და ეგ არის. შემოსასვ-
ლელში ბოტასებს ჩავიცვამ. ვინ იცის, დიდხანს მომი-
ნოს ფეხით სიარული. სიგარეტი, გასაღები, ტელეფონი
ჯიბეშია. მეტი რა?

დიდ ოთახში თაზო წიგნის თაროს შუშის უკან ამოდე-
ბულ ფოტოსურათს ათვალეერებს წელში მოხრილი და
ისეთი სახე აქვს, თითქოს ცდილობს, რაღაც გაიხსენოს.

ფოტოსურათი შავ-თეთრია, სულაც მამამისის
გადაღებული და მთანმინდაზე ჯადოსნური ნითელი
შუქით განათებულ მათ სააბაზანოშია დაბეჭდილი.
შუშის უკან ჯერ კიდევ იმ დროიდან დევს, როცა მის
დასათვალეერებლად წელში მოხრა არ გვჭირდებოდა.
სახელმწიფო მუზეუმის ეზო და ჩვენ ორნი პრეისტორი-
ული სპილოს ჩონჩხის ფონზე. მე დედაჩემის მოქსოვილი
ჯემპრი მაცვია. ორივე დავარცხნილ-გამოპრანჭული
ვართ, ალბათ ათ-ათი წლისები. ჩვენ უკან შუშის უზარმა-
ზარ ყუთში გამომწყვდეული სპილო სრულად ვერ ეტევა
კადრში. მაგრამ წინა ფეხები, ეშვები და შუბლის ნაწილი
კარგად ჩანს. მე ისიც მახსოვს, რა ეწერა შუშის ყუთზე.
აი, თუ არ გჯერა...

„Archidiskodon Meridionalis – სამხრეთული სპილო.
ნაპოვნია ტარიბანის ველზე“.

თაზო შუშის უკან ყოფს ხელს, სურათი გამოაქვს და მოჭუტულ თვალებთან მიაქვს. მეჩვენება, რომ თვალთ დააკლდა. ალბათ კითხვისას უკვე სათვალესაც ხმარობს.

– ეგ ტარიბანის ველი რალაცა ჯადოსნურ ადგილად წარმომედგინა, სადაც სპილოები დაიარებოდნენ. ჰოდა, ერთ გამოფენაზე მოვხვდი ამას წინათ. იქ ფოტო იყო – ტრიალი მინდორი და ერთადერთი ხე. ლამაზი ადგილი იყო. წარწერა ჰქონდა: „ტარიბანის ველი“ ... მაშინვე სპილო გამახსენდა. ყიდვაც მომინდა იმ სურათის, მაგრამ გაყიდული იყო უკვე...

– ტარიბანის ველზე ნამყოფი ვარ, – თაზო ფოტო-სურათს ადგილზე აბრუნებს, – სამსახურიდან გამიშვეს მოსავლის დასაზღვევად. პური ეთესა ვილაცას. ჩვეულებრივი ადგილია... დიდი არაფერი...

თაზო ტარიბანის ველზეა ნამყოფი. თაზო ვილაცას ხორბლის მოსავალს უზღვევს. ჩემი წასვლის დროა. აჰა, შენ გასალები. გქონდეს მაინც... წასვლის წინ დამირეკე და მოვალ. თუ უჩემოდ წახვალ, შემოსასვლელში კომოდზე დატოვე და კარი გაიჯახუნე...

თავს მიქნევს და კარამდე მაცვილებს. ბოტასებში ვუყრი ფეხებს. მართალი კაცის ბრავაბრუგით ჩავრბივარ ხის კიბეებს. ჩუმიად და მალვით ადიულტერშიკებმა იარონ! ზევით ვიხედები, რომ ხელი ავუნოო და უკვე დაუკეტავს ჩემი ბინის კარი. დაკეტა და ძალიანაც კარგი...

სანამ ქუჩაში გავალ, მედიკოს სარკეში ვათვალიერებ საკუთარ თავს. გაპარსვა ვერ მოვასწარი, ეგ არაფერი. ფული, ტელეფონი, გასალები... არაფერი დამრჩენია,

ასაბრუნებელი არ გავხდები. კიდევ მედიკოს სარკე მეუბნება, რომ გასაპარსის გარდა, კარგა ხნის გასაკრეჭიც ვარ და შეიძლება გავიკრიჭო კიდევ, დღე თუ სწორად დავგეგმე. მეცინება – რა დაგეგმვა უნდა დღეს, როცა არაფერი გაქვს გასაკეთებელი, და რაც გაქვს, ზუსტად იცი, რომ იმის გამკეთებელი არ ხარ. არც მახსოვს, უკანასკნელად როდის ავდექი ასე ადრე, ან დილით როდის ვიყავი გარეთ. სიგარეტზე და ბორჯომზე გასვლა არ ითვლება. აი, გასვლა რასაც ჰქვია – საფუძვლიანი... მედიკოს სარკეში უკანასკნელად ვათვალიერებ საკუთარ გამოსახულებას და ერთი, ორი... ორ-ნახევარი, სამი და, გავდივარ...

სადარბაზო კიდევ სიგარეტის ნამწვევით არის სავსე.

ჩვენი სადარბაზო შეყვარებულების ღამის თავშესაფარია. კარი არ ეკეტება, თუმცა მე სხვა დაუკეტავი სადარბაზოებიც მეგულება გარშემო, ოღონდ, ჩვენსას განსაკუთრებით ეტანებიან და, მგონი, სარკის ამბავი უნდა იყოს... შეუძლიათ, საფეხურებზე ისხდნენ და თან სარკეში იყურონ. სარკე მათი ალერსის მონმეც არის და იმის დასტურიც, რომ მართლა ჰყავთ ერთმანეთი. ალბათ ეზომებიან, ეტოლებიან კიდევ ერთმანეთს. ვერტიკალურად ატრიალებული უზარმაზარი თვალის ფორმა აქვს მედიკოს სარკეს. ადამიანის თვალი კიდევ არ არის იდეალური ინსტრუმენტი. ძალიან ახლო მანძილზე ფოკუსი ერევა და ლაქებადლა ხედავ ძვირფასი თვალების შუქს, მოღერებულ ყელზე სამკაულის ბრჭყვიალებას და მაშინ შეგიძლია, მალვით გააპარო სარკისკენ მზერა, სარკეს მოჰპარო რაკურსი და, ვინ იცის, ისეთი რამ დაგანახოს სარკემ, რომ აქეთ მოგპაროს ღიმილი...

ოღონდ ეგ არის, რომ ნამწვევს ყრიან.

მზის შუქზე გავდივარ. ქუჩას ვკვეთ და ჩემს სახლს გარედან ვუცქერ. ფანჯრიდან არავინ მიყურებს. ერთხელაც არ შეირხევა ფარდა. არის კი ჩემი სახლი საკმარისად კარგი პირველი პაემანისთვის? თაზო ისე ნერვიულობდა, რომ დარწმუნებული ვარ – პირველია. ხელფასი აქვს, აგე, ტარიბანის ველზე ვილაცხას პურის მოსავალს უზღვევს. სასტუმროსაც გაქაჩავდა, მაინც ჩემთან მოინდომა. სასტუმროს ფართო საწოლზე გაუცხოებულად გაბოლებას და ფრანგულ კინოს ისევ ოჯახურ გარემოში არჩია ადიულტერი და ჩემთან მოვიდა ამდენი წლის მერე... შუშის უკან ამოდებული ჩვენი ბავშვობის სურათის გარდა, რას ნახავს თავისას, მშობლიურს? წიგნებს? რამდენიმე წიგნი ლოგინთანაც დამრჩა იატაკზე. ნეტა, თუ დააინტერესებს, რას ვკითხულობ, ხელში აღება და გადაფურცვლა თუ მოუნდება? კიდევ რა? კედელზე თენგიზ მირზაშვილის რამდენიმე ნახატი, როგორც ნიშანი იმისა, რომ ეს სახლიც, ისევე როგორც თავად თაზოს სახლი, ნაწილია ქალაქის შიგნით მეორე ქალაქისა, რომელიც ამ მხატვარმა თავისი უანგარო საჩუქრებით მონიშნა... შეიძლება ის ქალიც, თაზო რომ ელოდება, „ჩუბჩიკას“ ქალაქიდან არის. მარტოობა ხომ ორივე ქალაქში ერთნაირად აუტანელია. ქალი სულ მალე შევა ჩემს ბინაში და ცოტა უხერხულად მოათვალიერებს კედლებს... კიდევ რა დახვდება? კიდევ ერთი ქალაქის, უფრო სწორად, ნაქალაქარის უზარმაზარი ფოტო... წლების მანძილზე ნაკეთებ არქეოლოგიურ ჭრილში ჩასული, ხელჯოხზე დაყრდნობილი დედაჩემი ჯიუტი და შეუვალი სახით იყურება ობიექტივში და არაფრით სურს, დაიჯეროს, რომ ათწლეულები ისეთ ძეგლს შეაღია, სადაც არაფერი აღმოჩნდა ფასეული...

კიდევ აფიშა ჩემი ფილმისა, რომლის ნახვაც ვერასოდეს მოვთხოვე თაზოს და ვერც იმის კითხვა გავუბედე, ნახა თუ არა. კიდევ? მაცივარზე მაგნიტებით მიკრული ჩემი გოგოს უამრავი ფოტოსურათი. დამავინყდა თაზოსთვის მეთქვა, მაცივარში შეეხედა, მაგრამ, თუ შეიხედავს, მარტოკაცის თავშესაქცევ უამრავ სასუსნავს იპოვის შიგნით... თუმცა, ხელშიც ეჭირა მოზრდილი გაუმჭვირვალე პარკი, რომელიც მაშინვე ჩაჩურთა დივანსა და სავარძელს შორის. ექნება, რალაცეები მოტანილი...

ჩვენი სადარბაზოდან მედიკო გამოდის და ხელს მიქნევს. მეც ვუქნევ ქუჩის მეორე მხრიდან. ორი მეზობლის დილის შეხვედრა. ოლონდ მედიკო სამსახურში მიემართება, მე კიდევ წარმოდგენა არა მაქვს, საით მივდივარ.

– ხდება რამე?

– არაფერი, ვსეირნობ...

– ისეთი სახე გაქვს, თითქოს მოხდა რაღაც.

– რა ვიცი... ადრე გამელვიძა. მეთქი, გავისეირნებ...

– აქეთ ხო არ მოსეირნობ? – მედიკო რესპუბლიკის მოედნისკენ მიდის.

უარის ნიშნად თავს ვაქნევ და უცებ ძალიან მინდება დავუყვირო: – იცი, თაზოა ჩემთან!

– ერთი საკეტი ხო არ დავაყენოთ სადარბაზოს კარზე, რას გავს იქაურობა?!

მედიკო გაღიმებული ბრუნდება ჩემკენ.

– დავაყენოთ, ესე იგი, მე დავაყენო, არა?

მეცინება და ხელს ვუნევ დამშვიდობების ნიშნად. საპირისპირო მხარეს, ლურჯი მონასტრისკენ მივდივარ, იქიდან ვერის ბალში გავძვრები და გემრიელად მოვწევ სიგარეტს.